საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000018526684919

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ **32** **03 / ივლისი / 2019 წ.**

განკარგულება

2019 წლის 24 მაისს გამოცხადებული, ელექტრონული აუქციონის წესით ვერ გაყიდული, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების ვაზ 21213-ის განმეორებით, ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზების, საწყისი საპრივატიზებო საფასურის 49%-იანი ფასდაკლების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე. გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 38-ე მუხლისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს 2019 წლის 24 მაისს გამოცხადებული, ელექტრონული აუქციონის წესით ვერ გაყიდული, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების ვაზ 21213-ის , (გამოშვების წელი 2004, სახელმწიფო სერია და ნომერი WKW 252. ძრავის N 7809157. სარეგისტრაციო მოწმობა RV0137560. გადაცემათა კოლოფი მექანიკური) განმეორებით, ელექტრონული აუქციონის წესით, საწყისი ღირებულების 49%-იანი ფასდაკლებით პრივატიზების, საწყისი საპრივატიზებო საფასური -1115 (ერთიათას ასხუთმეტი) ლარის ოდენობით.

2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში (ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.N101)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამარ ყეინიშვილი